

ინკასტისი ჯანმრთელ მომავალი

**საქართველოს ნახაოვანი იურიდიკური სამოქალაქო ბიბლიოთეკის
მუნიციპალიტეტის და სამსახურის მინიმიზაციის სფეროში**
2007-2009 წლებისთვის

ჯოზეფ ჩაღიძესკა, გავით თთიაშვილი, ვანო სეჩვაძე

**კავშირი აღმარხნატივა ჯორჯია
80160 მათელებელის საქართველოს ქსელი**

**პრაღა, თბილისი
2006**

ავტორები:

ჯოზეფ რადიმეცი – დამოკიდებულების ცენტრი, პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტის პირველი სამედიცინო ფაკულტეტის ფსიქიატრიის კლინიკა

დავით ოთიაშვილი – დამოკიდებულების კვლევის ცენტრი, კავშირი ალტერნატივა ჯორჯია განო ცერცვაძე – დამოკიდებულების კვლევის ცენტრი, კავშირი ალტერნატივა ჯორჯია



იბეჭდება ფონდ „დია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით
ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ფონდ „დია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას

შინაგანი:

1. მაღლიერების გამოხატვა	4
2. წინასისყვაობა	5
3. საქათველოში ნაჩეობიერის მოხმახებასთან დაკავშირებული სიტყაციის მოქალა ანალიზი	6
4. ნაჩეობიერის მოხმახების პროცედურა	7
5. ნაჩეობიერის კომიტეტის მომღერლები	7
6. მთავარი პროცედური, მიზნები და ზომები, ჩოდების საქათველოს ნაჩეობიერის უნდა გაცარეს	8
7. შემოთავაზებული ზომების ლიქებულება და საჩვენებელი	10
7.1. ოპიციური ჩანაცვლებითი მჯერნაცობა	10
7.2. ნებსებისა და შპეციალური გაცვლის პროცედურა	10
7.3. ნაჩეობიერის მომხმახებელების მუქანდობა	11
7.4. ნაჩეობიერის მოხმახების ღერძნაციზაფირი და მომხმახებელთა ღახასთან დაკავშირებული ზოანი	11
8. ნაჩეობიერის მთავარი მოქმედი/დაინტერესებული მხარეები და მათი ჩოდი	12
9. მოქმედის საჭიროებული გაბაზი	13
9.1. კომიტეტის	13
9.2. მონიტორინგი და კვლევა	14
9.3. ნაჩეობიერის მომხმახებელების მუქანდობა	15
9.4. ჩინკის მინიმიზაცია	16
9.5. პროფესიური განათლება	16
9.6. ღაფინანსება	17
10. ღანახონი	18
10.1. მუქანდობისა და ზოანის შემცირების სამსახურების მინიმალური ქსელი	18
10.2. ნაჩეობიერის კომიტეტის შემოთავაზებული სისტემა	19
10.3. ექიმებული ნაჩეობიერის ფონდიდან საქმიანობის ღაფინანსების შემოთავაზებული სისტემა	21
10.4. ნაჩეობიერის სამოქმედო გებმის ეკონომიკური ეფექტურობა	22
10.5. სამოქმედო გებმის ღაფალური ბიუჯეტი	26
11. გამოყენებული ციტაციება	37

1. მახის ბაზის ბაზები

ავტორები მაღლობას გუნდით ყველა იმ ადამიანს, რომელთა დახმარება და კონსულტაციები მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენილი დოკუმენტის შემუშავებისას. ესენი არიან:

გიორგი ჭუაძე – იურისტი, კავშირი ალტერნატივა ჯორჯია

ზურაბ დანელია – ადმასრულებელი დირექტორი, აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა კავშირი თანადგომა; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის წევრი

ნიკოლოზ დამბაშვილი – ადმასრულებელი მდივანი, კლინიკა ურანტი

აკაკი გამყრელიძე – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

ამირან გამყრელიძე – ქვეყნის პროგრამის კოორდინატორი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ეკროპის ოფისი

თამარ გამსახურდია – პროფესორი, ეკონომიკის ფაკულტეტი, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახაბერ გოგაშვილი – იურისტი, წამების საწინააღმდეგო ეროვნული კომიტეტი

ჯანა ჯავახიშვილი – ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემის პროექტის მენეჯერი, სამხრეთ კავკასიის ანგინარკოტიკული პროგრამა; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან არსებული ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს წევრი

გიორგი არსოშვილი – მონიტორინგის, რეფორმების და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის სამინისტრო

გვარცა ფირალიშვილი – მკლევარი, წამალდამოკიდებულების კალევის ცენტრი, ალტერნატივა ჯორჯია

ზურაბ სიხარულიძე – გამგეობის თავმჯდომარე, კლინიკა ურანტი; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის წევრი

ალექსი შოშიელაშვილი – იურისტი, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის წევრი

თამარ სირბილაძე – გამგეობის თავმჯდომარე, საზოგადოებრივი გაერთიანება ბეჭონი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან არსებული ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს ხელმძღვანელი

ხათუნა თოდაძე – სამეცნიერო დირექტორი, ნარკოლოგის სამეცნიერო-კალევითი ინსტიტუტი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან არსებული ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს წევრი

მაია ციხცაძე – ექიმი-კონსულტანტი, ინფექციური პათოლოგის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის წევრი

დალი უშარიძე – გამგეობის თავმჯდომარე, ცენტრი ახალი გზა; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის წევრი

ლაშა ზაალიშვილი – დირექტორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა, ფონდი “დია საზოგადოება – საქართველო”

კავშირი ალტერნატივა ჯორჯიას თანამშრომლები: **მარინა ჭავჭავაძე**, ნათია თოფურია და ირმა კირთაძე.

2. ნინასისუვაობა

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ სიტუაცია ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. ეს გარემოება არა მარტო ექსპერტებმა, არამედ საზოგადოების დიდმა ნაწილმაც შენიშნა. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ადექტატური ზომები არ გატარებულა. როგორც ჩანს, ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა მცირერიცხოვანმა ჯაგუფმა ვერ შეძლო პოლიტიკოსების ყურადღება მიექცია ისეთი სოციალური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეებისთვის, როგორიცაა ნარკოტიკების მოხმარება და, შესაბამისად, ინფორმირება არსებული მდგომარეობისა თუ პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე მცდელობა მაინც განხორციელდა – ამჟამად შემუშავებულია ნარკოსტრატეგიის ორი სამუშაო ვარიანტი, თუმცა კონკრეტული და დასრულებული სამოქმედო გეგმა მაინც არ არსებობს.

ნარკოტიკებისა და წამალდამოყიდვების ევროპის მონიტორინგის ცენტრი ნარკოსტრატეგიას განსაზღვრავს, როგორც იმ ინსტრუმენტთა და მექანიზმთა ერთობლიობას, რომელიც ნარკო-პოლიტიკის პრინციპებს მიზნებისკენ მიმართავს. ნარკოპოლიტიკის სამოქმედო გეგმა ამ სტრატეგიის განხორციელების შემდგომი ნაბიჯია. ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიის განხორციელებას, სადაც მიზნები, ამოცანები, რესურსები და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ და დატანულურად სტრუქტურირებულია, და დროის გარკვეულ მონაკვეთთან არის მიმღელი (EMCDDA 2002).

ამ განსაზღვრების თანახმად, კავშირმა აღტერნატივა ჯორჯიაშ შეიმუშავა და წარმოადგინა კონკრეტული, ნათელი და სტრუქტურირებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული მტკიცნეული პრობლემების გადაჭრისკენაა მიმართული. მისი მიზანია დაარწმუნოს პოლიტიკოსები შეთავაზებული სათანადო მოქმედების აუცილებლობაში, რაც ჩვენს შვილებს, ოჯახებსა და საზოგადოებას, ნარკოტიკებთან დაკავშირებული საშიშროებისგან დაიცავს და ჯანმრთელ მომავალს შეუქმნის.

ორი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომა მნიშვნელოვანი კონცენტრირება მკურნალობაზე, რეაბილიტაციასა და ზიანის შემცირებაზე: პირველია ის, რომ პირველადი პრევენციის სამოქმედო გეგმა განათლების სამინისტროს მიერ უნდა მომზადეს, ხოლო ნარკოტიკების მოწოდების შემცირებასთან დაკავშირებული გეგმა – შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ; მეორე, შეზღუდული დაფინანსების პირობებში შეუძლებელია ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემებისა და ნარკო-პოლიტიკაში არსებული ხარვეზების ერთიანად აღმოფხვრა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენ გთავაზობთ ნარკოპოლიტიკის ისეთი სტრატეგიის დანერგვას, რომელიც აქცენტირებული იქნება პრიორიტეტებზე – ჩვენი შვილებისა და საზოგადოებისთვის პოტენციურად ყველაზე მეტად ზიანისმომზან სფეროებზე.

ეს სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელება წლიურად 4 355 343 ლარს მოითხოვს, რაც ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით 146.2 ლარია. საერთაშორისო გამოცდილებისა და კვლევების გათვალისწინებით შეგვიძლია დაგასცენათ, რომ ეს, დღეს ჩადებული დანახარჯი, მომავალში საქართველოს ჯანმრთელ მომავალს უზრუნველყოფს და ყველა ჩვენთაგანს შეგვინახავს მილიონობით ლარს, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებით გამოწეული სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად დაგვეხარჯება მომავალში.

დავით ოთიაშვილი

კავშირი აღტერნატივა ჯორჯიას
გამგეობის თევმჯდომარე

3. საქართველოში ნახეობისაზის მოხარუსთან ეკავშირის სიტუაციის მოაც ანალიზი

ევროსაბჭოში წამალდამოკიდებულების ფენომენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნოა, რაც ევროპული საზოგადოების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისადმი სერიოზული საშიშროებით არის გამოწვეული (ევროსაბჭო 2005⁷). მსგავსად ამისა, 2005 წელს განხორციელებულმა საზოგა-დოებრივი აზრის კვლავამ საქართველოში (სირბილაძე და სხვები, 2005⁸, ჯავახიშვილი და სხვები, 2006⁹) შემდგენ რამ დადგინა:

ნარკოტიკების მოხმარებას საზოგადოება ქვეყნის რიგით მეორე პრობლემად მიიჩნევს (გამოკითხვის თანახმად პირველი პრობლემა უმუშევრობაა) გამოკითხულთა 90% ადასტურებს, რომ საზოგადოებაში ნარკოტიკების მოხმარებისთან დაკავშირებული სიტუაცია 2004 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. გამოკითხულთა 83%-ს სჯერა, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, თითოეულმა მოქალაქემ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. საზოგა-დოების აზრს მნიშვნელოვნად მხარს უმაგრებს მეცნიერული კვლევები – ნარკოტიკების საკითხთან დაკავშირებული სიტუაციის ყოველწლიური ანგარიშის ავტორები (ჯავახიშვილი და სხვები, 2006). მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებასთან, ბუნებასთან და შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების სიმცირე იგრძნობა, შემდგენ დამაფიქრებელი ფაქტები იქნა დაფიქსირებული:

• ქვეყანში ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა ძალიან მაღალია, ხოლო ახალგაზრდების 75% ნარკოტიკების შოვნას ადგილად მიიჩნევს.

• **მაგრამ**, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები კონტრაბანდული გზით შემოტანილი უკანონო ნარკოტიკების მხოლოდ მცირე ნაწილის ამოღებას ახერხებენ.

• ახალგზრდები პაშიშის გამოყენებას 13-14 წლის ასკიდან იწყებენ, ხოლო სხვა ნარკოტიკებს (მაგალითად, ექსტაზისა და პერონის) – 15 წლის ასაკიდან.

• **მაგრამ**, თითქმის არ არსებობს პირველადი პრევენციის პროგრამები, რომელიც ასწავლის ადამიანებს თუ როგორ აიცდინონ, გადავადონ მოხმარების დაწყება ან მინიმუმამდე დაიყვანონ მოხმარებით გამოწვეული რისკები.

• საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, ქვეყანში 200000 – 275000 ნარკოტიკების მოხმარებელია. 2004 წელს ეროვნული მონაცემების საფუძველზე, რეგისტრირებული იყო 24000 მომხმარებელი, რომელთაგან 14 400 ობიოდების ინქციური გზით მომხმარებელია. საქართველოში ასეთი ადამიანები კრიმინალებად ითვლებიან და დამალებას ამჯობინებენ. აქედან გამომდინარე, გასაპირი არ არის, რომ რეალურად უფრო მეტი ნარკოტიკების მომხმარებელია და, შესაბამისად, ინქციური გზით მომხმარებელიც სინამდვილეში უფრო მეტია, ვიდრე დარგისტრირებული.

• **მაგრამ**, ამავდროულად, ქვეყანა მკურნალობის საშუალების სიმცირეს განიცდის, განსაკუთრებით დაბალი სოციალური კლასის წარმოადგენელთათვის, რომელთაც მკურნალობისთვის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ. 2005 წელს მხოლოდ 603 წამალდამოკიდებულმა გაიარა მკურნალობა, თუმცა უდარა, რომ მკურნალობაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, ის რომ უფასო ყოფილიყო. მკურნალობის მაგივრად წამალდამოკიდებულებს ციხეში აგზანიან, სადაც ისინი კპლაკაც განაგრძობენ ნარკოტიკების მიღებას, მაგრამ უფრო სარისკო გზით და სარისკო გარემოში.

• ნარკოტიკების საშუალებების ინქციური მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც ნარკომობმარებლებსა და არამომხმარებელ საზოგადოებას შორის სისხლით გადამდებარებული დაგადებების გავრცელების რისკით არის განპირობებული. ეს იმითაც დასტურდება, რომ აიგ-ის რეგისტრირებული შემთხვევების 63,9% ნარკოტიკების ინქციურ მოხმარებასთან არის დაკავშირებული.

• **მაგრამ**, ამ ასევროშიც ზიანის შემცირების პროგრამების სიმცირე შეიმჩნევა. ასეთი პროგრამების მიზანია ჯანმრთელობისა და სოციალური რისკის პრევენცია ან მინიმიზაცია, როგორც ცალკეული მომხმარებლისთვის, ასევე არამომხმარებელი საზოგადოებისთვის. არსებული ნარკოლოგიური პროგრამები მოძველებულია, ხოლო აღტერნატიული, მტკიცებულებებზე დამყარებული მკურნალობა საერთოდ არ არსებობს.

• იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ნარკოტიკების მოხმარება, მათ შორის მაღალი რისკის ინქციური მოხმარება, ფართოდ არის გავრცელებული სასჯელადსრულების დაწყებები.

• **მაგრამ** ციხეში არ არსებობს მკურნალობის ან ზიანის შემცირების პროგრამები, რომელთა მიზანი ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაგადებების – აიგ-შიდსი ან ჰეპატიტების – ეპიდემიის გავრცელების რისკის პრევენცია ან მინიმიზაციაა.

ეს სერიოზული ნაკლოგანებები, ბოლო ათი წლის განმავლობაში ნარკოლოგიისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის მკვეთრი შემცირების შედეგია. სახელმწიფო დაფინასება, რომელიც პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის, ზიანის შემცირებისა და კვლევისთვის იყო გამოყოფილი, 430 000 ლარიდან 1997 წელს, 2006 წელს 50 000 ლარამდე (22 400 €) შემცირდა. ილუსტრაციისთვის, შემცირებული თანხმობისა და მხოლოდ 35 წამალდამოკიდებული ადამიანის დეპოქსიგაციაა შესაძლებელი (შემდგომი მკურნალობის გაუთვალისწინებლად) (ჯავახიშვილი და სხვები, 2006).

4. ნაჩაოტიაზის მოხარების პროცესი

ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა თავისი პოტენციური ზემოქმედებით განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის. ის განსაკუთრებით მავნე შედეგის მომტანია ქართული საზოგადოების განვითარების ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოციალური, ჯანდაცვის, კრიმინალური, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სფეროები. უფრო ფართო სოციალურ კონტექსტში, ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა მაგნე გავლენას ახდენს პიროვნების, ადგილობრივი საზოგადოებისა და მთლიანად ჯანმრთელი საზოგადოების განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, არის ის ნარკოტიკების მომხმარებელი თუ არა (ჩეხეთის მთავრობა 2005).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში “ჯანმრთელობა ყველასთვის XXI-ე საუკუნეში” (1998წ), ნარკოტიკების ინკლიუზი მოხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ინკლიუზი გზით ნარკოტიკების მოხმარება ხელს უწყობს სისხლით გადამდები დაავადებების გავრცელებას, როგორიცაა აივ/შიდსი, B და C ჰეპატიტები. აღსანიშნავია, რომ საშიშროება არსებობს არა მხოლოდ თავად ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვისაც (როგორც, მაგალითად, ეს მოხდა სამხრეთ აზიის ქვეყნებში ან რუსეთში (UN AIDS 2003)).

აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების ინკლიუზი მომხმარებლების სარისკო ქცევა და ამ ქცევასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისა და სოციალური რისკის მინიმიზაცია ნარკოპოლიტიკის პრიორიტეტებს წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია და მის შესამცირებლად განსახორციელებელი ზომები უგულებელყოფილია ან არ ხორციელდება. მაგრამ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ყველაზე სერიოზული რისკის შემცირება, და შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ, უნდა განხორციელდეს ნარკოპოლიტიკის სხვა ზომები, როგორიცაა რიგველადი პრევენცია და ნარკოტიკების მოწოდების შემცირება.

სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანი – თანახმად ყოველივე ზემოთქმულისა და თანამედროვე ნარკოპოლიტიკის პრინციპებისა, ასევე საქართველოს ნარკოპოლიტიკის სტრატეგიის გათვალისწინებით, რომელიც პატშირ აღტენატივა ჯორჯიას მიერ არის წარმოდგნილი – შემდეგია:

**ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული პრევენციური რისკისა
და მავნე შედეგების შემცირება, ყოველი ცალკეული პიროვნებისა და მთელი^{საზოგადოების საკეთილდღეოდ}**

5. ნაჩაოტიაზის წომალესის მოხელე

ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული მრავალმხრივი პრობლემები, მოითხოვს კომპლექსურ, დარგთა შორის, დეპარტამენტთა შორის, სექტორთა შორის დაბალანსებულ მიგრობას, რათა მოხდეს ნარკოტიკული საშუალებებზე მოთხოვნის შემცირება და განხორციელდეს ნარკოტიკების მოწოდების შემცირებისთვის აუცილებელი ზომები.

პორტფელი			
დაზინანება			
სამრთაშორისო თანამშრომლობა			
პირველი პრევენცია	მეორეალიტაცია	რისკის განვითარება	სამდგრავდომობის უმცირებელი
აქტივობები, მიმართული ნარკოტიკების მოხმარების მთავარიადაც აცელებისაკენ ან პირველად ექსპრიმენტისაკენ მაქსიმუმის გადადებისაკენ მაქსიმალურდ გვიანი ასაკისთვის	სხედვებისა და სტარტიზაცია მომსახურება, სექლისა და მიმდინარეობის იმ მომენტების მიზნების მისაღებად განვითარების რომელიც ებით გადაწყვეტილი სამსახურების განვითარებისგან განვითარებისგან განვითარებისგან	ჯანმრთელობისა და სოციალურ რისკის, ასევე სექლისა და მიმდინარეობის მარტივების მარტივების მიზნების მისაღებად ებით განვითარების რომელიც ებით არ სურთ ნარკოტიკებისგან თავისეფებისგან ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისთვის	ქონიტოლი, მარტიკიანობები და ძალისანი სტრუქტურების მომენტება, რათა შემცირდეს დაგეაღმირება და არ-დაგაღმირება ნარკოტიკების სექლისა და წყლომბისა
ნარკოტიკების საშალებების შემცირება		რისკის განვითარება	ნარკოტიკების საშალებების შემცირება
მასნად ისახავს ნარკოტიკული საშუალებებზე ნარკოტიკების შემცირებას	მასნად ისახავს ნარკოტიკული საშუალებების შემცირებას რისკის შემცირებას	მასნად ისახავს ნარკოტიკული საშუალებების შემცირებას მოწოდების შემცირებას ნარკოტიკების მოსარებელის შემცირებას	

ნახ. №1

კვლევა, მოვლა და შევასება

აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ პოლიტიკამ არა მხოლოდ ნარკოტიკების წარმოებასთან, მის კონტრაბანდასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ზომები უნდა განსაზღვროს, არამედ ასევე ნათელი უნდა გახადოს მეთოდები და საორგანიზაციო გარემო – მაგალითად, ისეთი, როგორიც არის კორრდინაცია და დაფინანსება. უფრო ნათელი წარმოდგენისთვის, ნარკოპოლიტიკა შეიძლება სახლს მივამდგანოთ, რომელიც სხვადასხვა, თითქოს ერთმანეთთან შეუთავსებელი კომპონენტების (ზომები და ინტერვენციები) მთელი კომპლექსისან შედგაბა. საბოლოოდ კი ვიდებთ ერთ მთლიანს, რომელმაც გარკვეული სტანდარტები უნდა დაკმაყოფილოს. ამ საჭირო კომპონენტებიდან ერთი მაინც თუ დაგვავიწყდა (მაგალითად, ფუნდამენტი ან სახურავი), ნამდვილად ვერ ავაშენებდით ისეთ სახლს, რომელიც შემდგომ საცხოვრებლად გამოდგებოდა. (იხ. ნახ. №1)

დეფინიცია: – **ნარკოპოლიტიკა** პრევენციული, საგანმანათლებლო, სამკურნალო, სოციალური, მარეგულირებელი, მაკონტროლებელი და სხვა ზომების კომპლექსური და კოორდინირებული მოქმედება, რომელიც ასევე ძალოვან ღონისძიებებსაც გულისხმობს და საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ ღონებებზე ხორციელდება. მისი მთავარი მიზანი, ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკისა და მავნე შედეგების შემცირება, თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

აღსანიშნავია, რომ ამ მიზანს იზიარებს თანამედროვე ნარკოპოლიტიკის სამი მთავარი მიმართულება – ნარკოტიკების მოწოდების შემცირება, ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირება და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით გამოწვეული ზიანის შემცირება. ზოგჯერ ამ სტრატეგიებს ერთმანეთთან შეუთავსებლად მიიჩნევენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. იმისდა მიუხედავად, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა ზომებსა და ინტერვენციებს ეფუძნება, სამივე ერთ მიზანს ემსახურება. ეს მიზანი ნარკოტიკების მოხმარების შედეგად გამოწვეული პოტენციური ზიანის შემცირებაა, თითოეული პიროვნებისა და ზოგადად საზოგადოების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

სტრატეგია	ნარკოტიკების მოწოდების შემცირება	ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირება	ზიანის მინიმიზაცია
მთავარი მახასიათებელი	ნარკოტიკების ორგანიზებულ წარმოებასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლა	პრევენცია, ნარკოტიკების მოხმარებლების მქურნალობა და რეაბილიტაცია	განათლება, შპრიცებისა და ნემსების გაცვლითი პროგრამები და ჩანაცვლებითი მკურნალობა
პირველადი მიზანი	ნარკოტიკების მოწოდების შემცირების გზით ნარკოტიკების მოხმარების შემცირება	ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემიცირების გზით ნარკოტიკების მოხმარების შემცირება	ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის შემცირების გზით ნარკოტიკებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური მავნე შედეგების შემცირება
საბოლოო მიზანი	ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პოტენციურად მავნე შედეგის შემცირება, თითოეული პიროვნებისა და მთელი საზოგადოებისთვის.		

6. საქართველოში ახსაბეჭი მთავარი პრობლემები, მიზნები და

მისალები ზომები 2007-2009 წლისთვის

ნარკოტიკებთან დაკავშირებული ვითარების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავარ სირთულეს წარმოადგენს პრობლემების მასშტაბისა და სიმწვავის აღქმის ნაკლებობა. ამის შედეგია კონტრეტული სერიოზული პრობლემები, რომლებიც ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელების წინაშე დგას. ცხრილში წარმოდგენილია პრობლემები და მიზნები, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს მიღებული გადაწყვეტილებები და ამ მიზნების განსახორციელებელი ზომები. აგრეთვე აღნიშნულია, თუ რომელი სამინისტროსა თუ უწყების კომპეტენციაში მოექცევა ესა თუ ის ზომა. (იხ. ცხრილი მომდევნო გვერდზე)

የኢትዮጵያውያንድ በፌዴራል የሆነ ስምምነት ይፈጸማል ይህንን የሚከተሉት ነው፡፡

№	განაკვეთის მიზანი	მიზანი	განახობის მაჩვენებელი (რამაცნ)
1.	ნარგებობის მაღალი ხფრიანობისა და ხელისუფლის უდინობრივი მიზანი	ნარგებობის სელასიან დამტკიცების უზრუნველყოფა – მარტინანის თანამდებობის წარმოშობის წარმოშობის და მარტინანის სამინისტრო	შენაგან საქმითა სამინისტრო
2.	ნარგებობის მსახურისტიზებულ მომსახურისტიზარის მუშაობის ზრდა	ნარგებობის მსახურისტიზარის მუშაობის ზრდა	განახობის და მარტინანის სამინისტრო
3.	მუნიციპალიტეტის დაზღვის ხელმისამართის პიროვნების მიზანი	მუნიციპალიტეტის ხელმისამართის განვითარების მიზანი	საქართველოს საჯარო ტერიტორიულ და სახურავულ ულტიმატური მუნიციპალიტეტის მიზანი
4.	სისხლით გამომდევი ინფრაგრანიტი და გამომდევი გამომცვევი ნარგებობის მიზანი მომსახურისტიზარის მუშაობის ზრდა	ნარგებობის ინფრაგრანიტი მისამართის გამომცვევი ნარგებობის მიზანი	სისხლით გამომდევი ინფრაგრანიტი და გამომცვევი გამომცვევი ნარგებობის მიზანი
5.	დისკრიმინაციისა და ანდიდაციის განხორციელებისა და სამსახურის მომსახურისტიზარის მუშაობის ზრდა	დისკრიმინაციისა და ანდიდაციის განხორციელებისა და სამსახურის მომსახურისტიზარის მუშაობის ზრდა	ოუასტერის სამინისტრო
6.	ნარგებობის მიმმრჩევის დაზღვის მუშაობის სამსახურის მიზანი	ნარგებობის კონკრეტული დაზღვის მუშაობის მიზანი	პრეზიდენტის ავტორიული მიზანი
7.	ნარგებობის მიმმრჩევის მიზანის არაგარისებრებით მიზანი	ნარგებობის მიმმრჩევის მიზანი	პრეზიდენტის ავტორიული მიზანი
8.	ნარგებობის მიმმრჩევის მიზანის გაფრთხევის მიზანი	ნარგებობის მიმმრჩევის მიზანი	პრეზიდენტის ავტორიული მიზანი
9.	ნარგებობის დაზღვის მიზანი	ნარგებობის მიმმრჩევის მიზანი	პრეზიდენტის ავტორიული მიზანი

7. შამოთავაზებები ზომების ლიჩანაცება ეს სახებაცი

7.1. ოპიატური ჩანაცვლებითი მუჟენაცობა

მეტადონით მკურნალობა ყველაზე ფართოდ დანერგილი ოპიატური ჩანაცვლებითი ოერაპიაა (Hall et al 1998). მეტადონი წარმოადგენს მკურნალობის საშუალებას იმ ადამიანებისათვის, რომელთა ცხოვრებაზე მათ მიერ პერონისა და სხვა ოპიატების მოხმარება პათოლოგიურ გავლენას ახდენს ან რომლებიც ამ ნივთიერებებზე დამოკიდებული ხდებიან. ასეთ ადამიანებს “ნარკოტიკებზე დამოკიდებულის” (ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია 1994) ან, რაც იგივეა, “დამოკიდებულების სინდრომის” დაიგნოზს უსვამენ (WHO 1192). ჩანაცვლებითი ოერაპიის მიზნები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- დავეხმაროთ პაციენტს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში – სათანადო მზრუნველობითა და მხარდაჭერით მათ შეუძლიათ ნარკოტიკებისგან თავისუფალ ცხოვრებას მიაღწიონ.
- პიროვნების მიერ უკანონო, დანიშნულების გარეშე ნარკოტიკების გამოყენების შემცირება.
- ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.
- ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება. (მაგალითად ისეთების, როგორებიცაა ჭარბი დოზის მიღებით გამოწვეული სიკვდილიანობა, აიფ-ი, B და C პეპატიტები და სხვა სისხლით გადამდები ინფექციური დაავადგები, რომლებიც საზიარო შპრიცებით ინექციის შედეგად ვრცელდება).
- ნარკოტიკების მოხმარების ეპიზოდების სანგრძლივობისა და მომავალი რეციდივების შესაძლებლობის შემცირება.
- ნარკოტიკების შესაძენად საჭირო ფინანსების მოსაძიებლად, კრიმინალური საქმიანობის შემცირება.
- საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის სტაბილურ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, აღკვეთის სინდრომის შემსუბუქება.
- პიროვნეული, ოჯახური და სოციალური ფუნქციების გაუმჯობესება

მეტადონის ჩანაცვლებითი მუჟენაცობის ხასხოთეფექურება

მეცნიერული მტკიცებულების თანახმად, მეტადონის ჩანაცვლებითი მკურნალობა, მთელი რიგი შედეგებიდან გამომდინარე, საკმაოდ ეფექტურია, ხოლო მისი ხარჯთევექტურობის დასადგენად ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადდეს, რომ “მეტადონით მკურნალობა ხარჯთსარგებლიანია, ყოველ შემთხვევაში, გადამხდელთა თვალსაზრისიდან, რაც კრიმინალისა და ნარკოტიკების მოხმარების შემცირებით არის განაპირობებული” (Goldschmidt 1976; Harwood et al 1988, Gerstein et al 1994).

დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკვლევამ სხვადასხვა სამურანო პროგრამის, მათ შორის მეტადონის ჩანაცვლებითი მკურნალობის ხარჯთევექტურობა შეამოწმა (Gossop et al 2001). მიღებული შედეგი შემდეგი სახისაა: “ყოველი დამატებითი 1 გირგანქა სტერლინგით, რომელიც წამალდამოკიდებულების მკურნალობას მოხმარდა, 3-5 გირგანქა სტერლინგით დაიზოგა”. დაზოგილი თანხა მკურნალობის შედეგად მიღებული ერთადერთი სარგებელი არ არის. სავარაუდო, დირებულებისა და სარგებელის თანაფარდობა შეიცვლება, თუკი მკურნალობის შედეგად ნარკოტიკების მოხმარებლებში ნააღრევი სიკვდილიანობა იყლებს. აქედან გამომდინარე, მეტადონის ჩანაცვლებითი მკურნალობა ფულის დაზოგვის საგრძნობლად უკეთესი გზაა, ვიდრე ნარკოტიკების მომხმარებლების ბედის ანაბარა მიტოვება ან მათი ციხეში ჩასძი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ნარკოტიკების მომხმარებლებში, რომლებიც მეტადონის ჩანაცვლებით მკურნალობას გადიან, ექვსჯერ ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ისინი აივ-ვირუსით არიან ინფიცირებულები, იმ პირებთან შედარებით, რომლებიც არ მკურნალობენ. ამასთან, ნარკოტიკების მომხმარებლებში, რომლებიც მეტადონის ჩანაცვლებით მკურნალობას გადიან, სიკვდილიანობა ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე მკურნალობაში არამყოფ მომხმარებლებს შორის. თითოეული დოლარი, რომელიც მეტადონით მკურნალობას მოხმარდება, სისხლის სამართლის და სასჯელ-აღსრულების ხარჯების შემცირების მეშვეობით 7 დოლარს ზოგადს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჯანდაცვის სისტემის დანაზოგსაც დავინგარიშებთ, თანაფარდობა კიდევ უფრო გაიზრდება და 12 : 1 გაძლება (WHO, UNODC, UNAIDS, 2004).

7.2. ნემსებისა და მშილების გაცვლის პროცესი

მსგავსი პროგრამების მთავარი მიზანი, აივ/შიდსისა და სისხლით გადამდები სხვა ინფექციების, მაგალითად, C და B პეპატიტების სხვა პიროვნებაზე გადადების პრევენციაა. ეს დაავადებები ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის გადაიცემა, რომლებიც საზიარო ინექციურ ინსტრუმენტებს იყენებენ. ამას გარდა, ეს პროგრამები ასევე ემსახურება მსგავსი დაავადებების გადადების ალბათობის შემცირებას, უფრო ფართო, ნარკოტიკების არამომხმარებელ საზოგადოებაში (Moss 1987). გაცვლითი

პროგრამების გარდა, რომელთა მიზანიც მიმოქცევაში არსებული შპრიცების რაოდენობის გაზრდა და მათი დაბრუნების და უსაფრთხო განადგურების წახალისებაა, მსგავსი პროგრამები უზრუნველყოფენ:

- ინფორმირებასა და განათლებას (მაგალითად, როგორ გაუკეთდეს დეზინფიცირება გამოყენებულ შპრიცებს/ნემსებს);
- სამკურნალო დაწესებულებების, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ადვილ ხელმისაწვდომობას;
- დაფარულ, მნელად მისაწვდომ ნარკოტიკების მომხმარებლებთან “აუტრიჩის” მეთოდით დაკავშირებას (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2003).

ზიანის შემცირების პროგრამები მიმართულია არა მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარების მაგნეშედვების შემცირებისაკენ, როგორებიც აიგ/შიდსი ან ჰეპატიტებია, არამედ ასევე აბსცესების, სისხლძარღვების დაზიანების ან ჭარბი დოზით სიკვდილიანობის შემცირებისაკენ. ნემსებისა და შპრიცების გაცვითი პროგრამის ერთ-ერთი მიზანი იმაშიც მდგომარეობს, რომ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები მკურნალობის პროგრამებში ჩართოს და მათი სოციალური აქტივობა გაზარდოს (Hunt et al 2003).

ნემსებისა და შპრიცების გაცვის პროცედურა და ხასიათურებები

არსებობს მყარი საფუძველი ვივარაულოთ, რომ ნემსებისა და შპრიცების გაცვლითი პროგრამა საკმაოდ ეფექტურია სისხლით გადამდები ვირუსული ინფექციების პრევენციისთვის, ხოლო რამდენიმე კვლევამ (Gold et al 1997; Lurie and Drucker 1997; Holtgrave et al 1998; Laufner 2001) ისიც ცხადჰყო, რომ მსგავსი პროგრამები ასევე ხარჯთვების გაცვლითი პროგრამისთვის, ახალ ზელანდიაში ერთ-ერთმა დამოუკიდებელმა მკვლევართა ჯგუფმა დაიანგარიშა, რომ 1 ახალ ზელანდიური დოლარი, რომელიც ნემსებისა და შპრიცების გაცვლითი პროგრამისთვის დაიხარჯა, 20 ახალ ზელანდიურ დოლარს დაზოგავს (ზიანის შემცირების ცენტრი, 2002). ხოლო აგსტრალიაში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ “ნემსებისა და შპრიცების გაცვლითი პროგრამები აიგ/შიდსის გავრცელების შემცირების ეფექტური გზაა და ამავე დროს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეფექტურ ფინანსურ ინვესტიციას” (ჯანდაცვისა და ასაკოვანთა თანამეგობრობის დეპარტამენტი 2002).

7.3. ნაჟყოფის მომხმარებელთა მჯენაცობა

ზემოთ ხესხებული კვლევის მსგავსად, კიდევ ერთმა ამერიკულმა კვლევამ – DATOS შეაფასა ნარკოტიკების მომხმარებლების სამკურნალო პროგრამების ეფექტურობა და ხარჯთვების გამოყენება. კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ თითოეული დოლარი, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელზე დაიხარჯა, 5-7 დოლარს დაზოგავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თანხა, რომლის გამოყენაც სახელმწიფო სახსრებიდან გახდებოდა საჭირო, იმ კრიმინალის დაფარვას მოხმარებოდა, რომელსაც ნარკომომხმარებლები ჩადიან, ან ნარკოტიკების მოხმარების ისეთი მაგნე შედეგების მკურნალობას დასჭირდებოდა, როგორებიცაა აიგ/შიდსი და B და C ჰეპატიტები. კვლევამ ასევე დაასკვნა, რომ ამბულატორიული თუ სტაციონარული მკურნალობის ეფექტურობას შორის არცთუ ისე დიდი განსხვავებაა. თუმცა სტაციონარული მკურნალობა ნარკოტიკების ხანგრძლივი მომხმარებლებისთვის უფრო ეფექტური აღმოჩნდა.

7.4. ნაჟყოფის მომხმარების ეფენაციზაცია და მომხმარებელთა დახასიათან დაკავშირებელი ზოანი

დეპენალიზაცია ან დეკრიმინალიზაცია გულისხმობს “სისხლის სამართლებრივი და კრიმინალური სანქციების გაუქმებას იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც თავისთავად აკრძალულია და არასისხლისსამართლებრივი რეგულაციებისა და სანქციების დაკისრებას იწვევს (მაგალითად, ადმინისტრაციულ სანქციებს: ჯარიმა, საზოგადოებრივი სამუშაო ან სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობის დაწყება) (ნარკოტიკების პრევენციისა და კრიმინალის პრევენციის ევროსაბჭოს იფიციალური 2000).

დეპენალიზაცია შესაძლოა იყოს “დე იურე“ და მოითხოვს კანონიერ სტატუსში ცვლილების განხორციელებას, ან “დე ფაქტო“. ასეთ შემთხვევაში კანონი უცვლელი რჩება, თუმცა ის, თუ როგორ მოქმედებს პოლიცია პრაქტიკაში, ადმინისტრაციული ინსტრუქციებით რეგულირდება. “დე ფაქტო“ სასჯელის გაუქმება შესაძლოა გულისხმობდეს არასისხლისსამართლებრივ აკრძალვას ან ნაწილობრივ აკრძალვას. ეს უკანასკნელი გულისხმობებს, რომ ნარკოტიკების შენახვა და გამოყენება უკანონოდ ითვლება, თუმცა ასეთ შემთხვევაში არა კრიმინალური, არამედ სამოქალაქო სასჯელი გამოიყენება. გაცილებით მძიმე სანქციები კი უფრო ნარკოტიკების დიდი რაოდენობით წარმოებისა და კონტრაბანდის შემთხვევაში გამოიყენება.

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებმა ცხადჰყო, რომ ნარკოტიკების მოხმარების შესაჩერებლად, მოხმარების დეპუნდიზაცია მკაცრ აკრძალვაზე უარესად არ მუშაობს. ხოლო სოციალური დანახარჯი მნიშვნელოვნად მცირეა. მაგალითისთვის, ეკროსაბჭოს ქვეყნების დიდი უმრავლესობა პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკების შენახვის

მიმართ საქმაოდ ლმობიერია. განსხვავებას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ნარკოტიკების პირადი მოხმარებება მკაცრად ისჯება. შედეგად, ევროსაბჭოს ქვეყნებში ნარკოტიკების პრობლემური მომხმარებლების რიცხვი მთელი მოსახლეობის დაახლოებით 0,5%-ია, ხოლო აშშ-ში დაახლოებით 2,4%. (ზაბრანსკი 2001). ასევე, ევროპისგან განსხვავებით, ამერიკაში ციხეებში მყოფ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ამ უბრალო შედარებით ნათელია, რომ პატიმრობის მაგივრად ნარკოტიკების მომხმარებლების მკურნალობა და ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელება, არა მარტო ეფექტური, არამედ ხარჯოფექტურიცაა.

8. ნახაოვის მთავარი მოქალიბების განხორციელების მხარები და მათი ჩრდილოები

ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის რთული ბუნებიდან გამომიდინარე, ნარკოპოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა მონაწილეობდნენ. თოთოვეული მათგანი ნარკოპოლიტიკის შემუშავებაში თავის ფუნქციას შეასრულებს, რათა საბოლოოდ მიღწეული იყოს საქართველოს ნარკოპოლიტიკის მთავარი მიზანი: შემცირდეს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკი და მისი მაგნი შედეგები. მთავარი დაინტერესებული პირების კონკრეტული ვალდებულებები ქვემოთ არის მოყვანილი.

დაწესებულება	კასუებისგანვითარება	კომატენცია
მთავრობა	უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, უფლებები ნარკოტიკის განვითარებისა და განხორციელების უზრუნველყოფა	ნარკოპოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით, სტრატეგიული გადაწყვეტილების მდებარეობა. პიროვნების/ორგანიზაციის დანიშნვა, რომელიც ნარკოპოლიტიკის განხორციელებასა და კოორდინაციაზე იწნება აასუხისმაგებელი
ნარკოპოლიტიკის მრავალური სამოწმონაციო მომართვის მიზანი	ნარკოპოლიტიკის სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტის, ინფორმაციისა და წინადადებების მიწოდება მთავრობისთვის, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, ინფორმაციის მიწოდება პროფესიონალებისთვის/საზოგადოებისთვის	წამყანი პირებისა და საქმიანობების კოორდინირება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი. პროგრამების დაფინანსება, მთავრობის ნარკოპოლიტიკის ბიუჯეტდან
განათლების სამინისტრო	სკოლებსა და სახელმიწოდებების უზრუნველყოფაში ნარკოტიკების პრევენციის კონცეფცია და კოორდინაცია, ასევე დაფინანსება	პირველადი პრევენციის მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის კონტროლი და ლიცენზირება
შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	მუშაობის, სოციალური მომსახურება, ნარკოტიკების მომხმარებლების რეაბილიტაცია და რისკის მინიმალიზაცია	ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის კონტროლი და ლიცენზირება
შონაბან საქმეთა სამინისტრო	ნარკოტიკების მოწოდების შემცირება, ძალოვანი დონისძიებები	პოლიციის ხელმძღვანელობა და კოორდინირებულ საკითხებზე
იუსტიციის სამინისტრო	სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები. საგამოძიებო და სასჯელადსრულებებს სისტემაში, მთავრობის პრობაციის სამსახურის გათვალისწინებით, ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფა	სისხლის სამართლის კოდექსში საკითხების მდებარებების შესახებ წინადადებების შეთავაზება
თავდაცვის სამინისტრო	ჯარსა და სამხედრო სკოლებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული საკითხების პრევენცია, მთავრობის დაფინანსება	ჯარსა და სამხედრო სკოლებში პრევენციული საქმიანობის კოორდინირება
ზონანთა სამინისტრო	სახსრების გამოყოფა ნარკოპოლიტიკისათვის, და ამ სახსრების ხარჯის კონტროლი	გათვალისწინებულ თანხებზე კონომიკური კონტროლის დაწესება
საბარეო საქმეთა სამინისტრო	ნარკოპოლიტიკაში საერთაშორისო თანამშრომლობა	სახელმწიფოს წარმომადგენლობა, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებზე ორიენტირებულ საერთაშორისო დაწესებულებები
ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	ადგილობრივი პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების პროგრამების თანადაფინანსება	ნარკოტიკების მოთხოვნის შემცირების სფეროში ადგილობრივი საგენტოების კონტროლი
არასამთავრობო მობილიალიტეტი	სამიზნე საზოგადოებისთვის პრევენციის, მუშაობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების მომსახურებების მოწოდება	ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

9. მასენილობას და ზოგან შეასრულებს იმაშვილებათ ღონისძიებების სამართლებრივი უფლებები.

საქართველო ამონიკები	ლინილისაში/ამთავრული	გთხოვთი (ლაპარ)	სალიგელი	ვალები	პომპონისას/სასუნის გელერება	მიღებული შემთხვევის პროცესი
1. ეგვიპტელი და ლამაზინის ქადა ნარკოლიტიკუს დაწერებების განვითარება ს უსაფრთხოებაზე	1. ნარკოლიტიკის სტრუქტურის და სახელმწიფო გამგების განხილვა და დამტკიცება	დამატებითი დაგენასტიკას არ საჭიროებს	არსებული დაწერებულების აღმატებითი და ფინანსური რესურსების ფაქტური გამოყენება	XII/2006	პრეზიდენტის/მთავრობა/ პრეზიდენტის ამ მთავრობის კადამანულებისა და სამოქმედი გეგმის თაობაზე	პრეზიდენტის ამ მთავრობის კადამანულების ნარკოლიტიკუს სტრუქტურის გამგების განვითარების სამოქმედი მოწმედი/დამტკიცებულების მსარებელის მოვალეობების და ასეთისტების დაწინაურებაზე
	2. ნარკოლიტიკის განხილვისას და მიმღებების თაობის განვითარებისა და დამტკიცება	დამატებითი დაგენასტიკას არ საჭიროებს	არსებული დაწერებულების აღმატებითი და ფინანსური რესურსების ფაქტური გამოყენება	VII/2007	მთავრობა/სარლაშენი ნარკოლიტიკის განვითარების და კიონდინირების თაობის უ სამოქმედი მოწმედი/დამტკიცებულების მსარებელის მოვალეობების და ასეთისტების დაწინაურებაზე	მთავრობა/სარლაშენი ნარკოლიტიკის განვითარების და კიონდინირების თაობის უ სამოქმედი მოწმედი/დამტკიცებულების მსარებელის მოვალეობების და ასეთისტების დაწინაურებაზე
	3. პრეზიდენტის ლიკისთან ნარკოლიტიკის კრიტიკული საკონდიციონაციო საბჭოს დაარსება. კ საჭილებების მომავალის კ პრეზერვაციით მომავალის სამინისტროთაშორისო მიმღება და განვითარების მინიცემების დაფუძნებული ინიციატივის დაწინაურება	61 965	არსებული დაწერებულების აღმატებითი და ფინანსური რესურსების ფაქტური გამოყენება	XII/2007	პრეზიდენტი/მთავრობა/ პრეზიდენტი, ნარკოლიტიკის კენტრული სამოქმედინაციო საბჭო	ნარკოლიტიკის კრიტიკული საკონდიციონაციო საბჭო სამოქმედი/და უზური სამინისტროსას
	4. ნარკოლიტიკის რეგიონალური კიონდინიტორების ქსელის დაფუძნება	46 800	ნარკოლიტიკის ზომიერის უფლებელობის მიწოდება და აღმატებითი და ფინანსური რესურსების გამოყენება კორწნულ, რაოთნალურ აღილობრივ დონეზე	XII/2008	პრეზიდენტი/მთავრობა/ პრეზიდენტი/ ავტომობილი ხელისუფლება	ნარკოლიტიკის ზომიერის განვითარების თაობაზე კადამანულების მიღება ნარკოლიტიკის ერთგული საბჭოს წერტყმას
	1. ნარკოლიტიკის სამინისტროთაშორისო კრიმიტების რეგულირებით შეხედულების (შეფიქ्सის ნარკოლიტიკის განხილვისაში ჩასრულდი სამინისტროს მიმღებაზე) წარმომადგენლობისას	დაგვარულია დანახახაზებით აქტივობების 1.3.-ზე	მუდმივად, 3-4 ჯრ ულიადში		პრეზიდენტი/მთავრობა/ ნარკოლიტიკის კენტრული სამოქმედინაციო საბჭო	ნარკოლიტიკის ზომიერი გადამომავლების ანგარიში. განვითარების 2010 წლის სამიტებელი საქამა დამტკიცებულების პრეზერვაციის და მოაწილოს მოწმედი
	2. 2007-09 ნარკოლიტიკის განხილვის კიონდინიტორების კიონდინიტორების მისამართი 2010წლის საბჭო გეგმაზე	დაფუძნებული დანახახაზებით აქტივობების 1.3.-ზე	ნარკოლიტიკის ზომიერის უფლებელობის მიწოდება და ფინანსური და ფინანსური რესურსების გამოყენება კორწნულ, რაოთნალურ და აღილობრივ დონეზე	VII/2009	მთავრობა, ნარკოლიტიკის კენტრული სამოქმედინაციო საბჭო	2007-09 ნარკოლიტიკის ზომიერი გეგმის შესწორების ანგარიში. განვითარების 2010 წლის სამიტებელი საქამა დამტკიცებულების პრეზერვაციის და მოაწილოს მოწმედი

9.3. ნამდველობის მუნიციპალიტეტი, მთავრობა: საქართველოს სარკინის რეგიონებში ნარკოტიკების მომხმარებელთა ქვემა ჯეფითის მკურნალობაზე ხელმისაწყობის განვითარების მიზანით ნარკოტიკების პრობლემური/ინკვიტი მომხმარებლების რაოდენობის ხმაბილობაზა ან

9.4. ԽԵՆԳԱԾԹՅԱՆԻ ԺՄՅՄԻՒՋԸ, ԹՈՏՎԱՐՈ ԹՈՅՆԱՅԻ ԽԱՐԳԱՅԻ ԾՐՅՄԱՆ ՄԱՅՈՅՐ ԹՈՅՆԱՅԻ ԽԱՐԳԱՅԻ ԾՐՅՄԱՆ ՄԱՅՈՅՐ


10. განახოთ

10.1. მჯერნალობისა და ზოანის შემცირების სამსახურების მინიმალური ქსელი

ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების რიცხვი რომ დასტაბილურდეს ან შემცირდეს, აუცილებელია მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე ფანისოფერის. აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა, მინიმუმ 9 ნოვატორულ და მონაცემებზე დაფუძნებულ სამკურნალო პროგრამათა ქსელის დაარსების წინადადებით შემოდის. ამ პროგრამების ამოქმედება საქართველოს ყველაზე სარისკო რეგიონებში, ერთის კი – ციხეშიც იგეგმება. ქსელი შემდეგი სტრუქტურის მიხედვით უნდა დაარსდეს.


სამკურნალო პროგრამის ტიპი	A-ამბულატორიული კლინიკები	B-სტაციონარული კლინიკები
მიწოდებული მომსახურება	პროფესიონალური კონსულტაცია ამბულატორიული დეტაქსიაცია	პროფესიონალური კონსულტაცია ამბულატორიული დეტაქსიაცია
	ფსიქო-სოციალური კონსულტაცია და რეაბილიტაცია	ფსიქო-სოციალური კონსულტაცია და რეაბილიტაცია
	აუტომიზი, ნემსებისა და შპრიცების გაცემითი პროცედა	აუტომიზი, ნემსებისა და შპრიცების გაცემითი პროცედა
	მეტადონის ჩანაცვლებითი მკურნალობა	მეტადონის ჩანაცვლებითი მკურნალობა
	-	სტაციონარული დეტაქსიაცია
	ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება	ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება
სულ პროგრამათა რაოდენობა	6	3
პროექტში მონაწილე ბენეფიციანტთა რაოდენობა		
მომსახურება	ბენეფიციართა რაოდენობა წელწადში 1 A/B ტიპის ცენტრში	ცენტრების რაოდენობა წელიწადში ბენეფიციართა რაოდენობა
პროფესიონალური კონსულტაცია	1200	9 (6A+3B)
ამბულატორიული დამტექსიაცია	150	9 (6A+3B)
ფსიქო-სოციალური კონსულტაცია და რეაბილიტაცია	1500	9 (6A+3B)
აუტომიზი, ნემსებისა და შპრიცების გაცემითი პროცედა	350	9 (6A+3B)
მეტადონის ჩანაცვლებითი მკურნალობა	70	9 (6A+3B)
სტაციონარული დეტაქსიაცია	120	3 (3B)
სულ	29790	
ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება 15000 (ადინშტერ 29790-დან) ბენეფიციარს გაწევა		
პროფესია/თანამდებობა	თანამშრომელთა რაოდენობა	სამუშაო დროის %
მთავარი ქმითი	1	1.0
ნარკოლოგი	2	2.0
ფსიქოლოგი	2	1.5
სოც-მუშაქი	2	1.0
ქათნი	2	2.0
მენეჯერი/ბუღალტერი	1	1.0
დამლაგებელი	1	0.25
დაცემა	2	2.0
ფარმაცევტი	1	1.0
აუტომიზი მუშაქი	2	2.0
მზარეული	-	-
თანამშრომელთა რაოდენობა ერთ პროგრამაში	16	13.75
დანახარჯები	ლარი	ცენტრების რაოდენობა
ა ტიპის ცენტრი	308 932	6
ბ ტიპის ცენტრი	744 511	3
ნარკოპოლიტიკის საკორდინაციო საბჭო	108 765	-
ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემა	45 705	-
ტრენინგების, პლევისა და სხვა ხარჯები	70 590	-
მოხსიერებული ფინანსები		4 355 343
პროგრამების ადგილმდებარება	1 თბილისში, 1 ბათუმში, 1 გორში, 1 ქუთაისში, 1 ზუგდიდში, 1 თელავში	1 თბილისში, 1 ქუთაისში, 1 ბათუმში.

ზემოხსენებულ სამკურნალო პროგრამათა განლაგება ნაჩვენებია რუქაზე:



10.2. ნაჩვენები კონტროლის კუთხით განვითარებული მემკვიდრეობის სისტემა

ნარკოტიკების მოხმარებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების – კულტურის, ისტორიის, სოციალური მდგრამარეობის, განათლების, ჯანდაცვის სისტემის, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა, და სხვა – გავლენა. ამ ყველაფერზე მაგნე გავლენას ახდენს ნარკოტიკების მოხმარების გავრცელება. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების მოხმარების მიმართ სათანადო ზომების მიღება კომპლექსური ხასიათის უნდა იყოს და პრევენციის, განათლების, მუჟურნალობის, სოციალური, კონტროლისა და ასევე ძალივანი დონისძიებების კოორდინირებულ განხორციელებას მოიცავდეს. მსგავსი მიღები მოითხოვს სხვადასხვა გამოცდილების, ცოდნის, პრაქტიკის მქონე მთავარი მოქმედი/დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. მათი საქმიანობა ერთმნიშვნელოვნად მიმართული უნდა იყოს თანამშრომლობისაკენ და არა ურთიერთ შეჯიბრებისაკენ. გთავაზომთ კოორდინირების შემდეგ სისტემას:



ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისო კომისიას უხელმძღვანელებს პრეზიდენტი/პრემიერ-მინისტრი, ხოლო კომისიის შემადგენლობაში შევღებ დაინტერესებული სამინისტროების წარმომადგენლები (მინისტრი/მინისტრის მოადგილე). ეს სამინისტროებია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები.

კომისია წელიწადში 3-4-ჯერ შეიკრიბება და ნარკოპოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით მთავარ გადაწყვეტილებებს მიიღებს. ეს გადაწყვეტილებები ეროვნული ნარკოპოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს განაცხადების საფუძველზე განიხილება. სტრატეგიული გადაწყვეტილების შემთხვევაში, კომისია თანხმობას პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტისგან მიიღებს.

ნარკოპოლიტიკის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტთან ახლოს განთავსდება. ამის მიზეზი, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების კომპლექსური და სამინისტროთაშორისი მიღვომა და მონაცემებზე დაფუძნებული ზომებისა და ინტერვენციის განხორციელებაა, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. საბჭო 3-5 თანამშრომლისგან დაკომპლექტდება. ეს ადამიანები ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებში, პროექტის მენეჯმენტისა და კოორდინირების ექსპერტები უნდა იყვნენ. საბჭო განიხილავს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებს, ნარკოსიტუაციასთან დაკავშირებულ საკითხთა განვითარებას, ნარკოპოლიტიკაში განხორციელებულ ზომებსა და მათ ზეგავლენას. ამის საფუძველზე საბჭო მომზადებს განსახორციელებელი ზომებისა და საქმიანობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას და წინადადებებს. ასევე მომზადებება ნარკოპოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები, რომლებიც საბოლოოდ პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს გადაეცემა განსახილველად.

საბჭო კოორდინირებას გაუწევს მთავარი დაინტერესებული მსარეების წარმომადგენლებს შემდეგ დონეებზე: ეროვნულ (სამინისტროები, რომლებიც ნარკოპოლიტიკასა და ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემის, სამინისტროთაშორის კომისიაში არიან ჩართულნი), რეგიონული ნარკოპოლიტიკის კოორდინატორები და კომისიები), და ადგილობრივ (ადგილობრივი მუნიციპალიტებები და მომსახურების მომწოდებლები).

ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს დამატებით სააგენტოს, რომელიც მონაცემებს შეაგროვებს ნარკოტიკების გავრცელებაზე, მათ ბუნებასა და გავლენაზე. ამისთვის გამოიყენება ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების ეკრანის მონიტორინგის ცენტრის მიერ მომზადებული გაიდლაინები და სტანდარტული პროცედურები. მათი დახმარებით შესაძლებელი გახდება არსებული სიტუაციის ყოველმხრივი აღწერა და ანალიზი. ეს სისტემა პასუხისმგებელი იქნება წლიური ეროვნული ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება და გადაწყვეტილების მიმღებებს, ექსპერტებსა და ზოგადად საზოგადოებას, ინფორმაციას მიაწვდის ნარკოტიკების სფეროში არსებულ მდგრამარეობაზე.

შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენელთა კომიტეტი შედგება წარმომადგენლებისგან, რომელთა კანდიდატურას ნიშნავენ იმ სამინისტროების ხელმძღვანელები, რომლებიც ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისო კომისიის წევრები არიან. მათ დაქმატებათ რეგიონული ნარკოპოლიტიკის კომიტეტის კოორდინატორთა 1 და მომსახურების მომწოდებელთა 2 წარმომადგენელი. კომიტეტს კოორდინირებას გაუწევს ეროვნული ნარკოპოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს თანამშრომლები და კომიტეტი თვეში 1-2-ჯერ შეიკრიბება.

აღნიშნული კომიტეტის მთავარი ამოცანა იქნება, იმ კონკრეტული საკითხების განხილვა, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობასა და წამოჭრილ პროცედურებს დაუკავშირდება. კომიტეტის მთავარი მიზანი ამ პროცედურების გადასაჭრელად გარკვეული წინადადებების შემუშავება და მათი ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისო კომისიის წინაშე განსახილველად წარდგენაა.

თითოეული სამინისტრო პასუხისმგებელი იქნება მათზე დაკისრებული მთავარი ამოცანისა და ასევე, კონკრეტული დაგალების შესრულებაზე, რომელიც ნარკოსტრატეგიის ან სამოქმედო გეგმის მიხედვით იქნება განსაზღვრული. სამინისტროთა და სხვა სააგენტოთა წარმომადგენლები შესრულებული სამშოოს შესახებ ანგარიშს საკოორდინაციო საბჭოს წარუდგენენ, ხოლო ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემას ყოველწლიურად იმ მონაცემებს გადასცემენ, რომელსაც ეს უკანასკნელი მოითხოვს. ეს ყოველივე წლიური ანგარიშის მოსამზადებლად არის საჭირო. ეროვნული ნარკოპოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს ზედამხედველობით, სამინისტროთა წარმომადგენლები მინაწილებას მიიღებენ ინფორმაციისა და ანგარიშების მომზადებაში, რომელთაც საერთაშორისო დაწესებულებები მოითხოვნ და მონაწილეობას მიიღებენ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტის მომზადებასა და შეფასებაში.

კომიტეტი განიხილავს შემოსული განაცხადების დაფინანსების საკითხს, ხოლო შემდგომი განხილვისთვის განაცხადებს ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორის კომისიას წარუდგენს. საბოლოო გადაწყვეტილებას ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისი კომისია იღებს.

კომიტეტი დაფინანსების საკითხების განსახილველად წლის განმავლობაში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში მეტჯერ იკრიბება. კომიტეტის მიერ გაპეტებული დასკვნები წინადაღებების ან რეკომენდაციების სახით მომზადება, ხოლო საბოლოო დასკვნის გამოსატანად ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისო კომისიას გადაუცემა.

რეგიონული ნარკოპოლიტიკის გრძელება რეგიონული ნარკოპოლიტიკის კოორდინატორთაგან (ისინი რეგიონის ხელისუფლების მიერ იქნებიან არჩეულნი), ხოლო ზედამხედველობას ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისი კომისია გაუწევს. კომისია დაეხმარება გადაწყვეტილებებისა და მოვალეობების გადაცემას ეროვნული დონიდან, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეებზე. ასევე კომისიის ამოცანა იქნება ნარკომოხმარების ან ეროვნული ნარკოპოლიტიკის განხორციელების ირგვლივ არსებული სიტუაციისა და პრობლემების განხილვა, რომლებმაც შესაძლოა თავი იჩინონ ადგილობრივ/რეგიონულ დონეებზე.

ადგიშენელი კომიტეტის მთავარი ამოცანა, იმ კონკრეტული საკითხების განხილვა იქნება, რაც მის ყოველდღიურ საქმიანობასა და პრობლემებს დაუკავშირდება. მისი მთავარი მიზანია ამ პრობლემების გადასაჭრელად გარკვეული წინადაღების შემუშავება და მათი ნარკოპოლიტიკის სამინისტროთაშორისი კომისიის წინაშე განსახილველად წარდგნა.

რეგიონული ნარკოპოლიტიკის კოორდინატორები, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს სკოორდინაციო საბჭოს წარუდგენებ, ხოლო ნარკოტიკებზე საინფორმაციო სისტემას ყოველწლიურად იმ მოთხოვნილ მონაცემებს წარუდგენებ, რომელიც წლიური ანგარიშის მოსამზადებლად არის საჭირო.

რეგიონული ნარკოპოლიტიკის კოორდინატორები წარმოდგენილნი იქნებიან რეგიონული ხელისუფლების მიერ, ხოლო მათი მთავარი ფუნქცია ეროვნული ნარკოპოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მსაგაცი იქნება, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი რეგიონულ დონეზე განხორციელდება. აქედან გამომდინარე, მათ უნდა მოაგროვონ ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ. კერძოდ, ნარკოსიტუაციასთან დაკავშირებული მდგომარეობის განვითარების, განხორციელებული ნარკოპოლიტიკის ზომებისა და მათ კონკრეტულ რეგიონში ნარკოტიკების შეგავლენის შესახებ. მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, კოორდინატორები მოამზადებენ განსახორციელებელი ზომების შესახებ სათანადო ინფორმაციასა და წინადაღებებს. მომზადება რეგიონული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმა, რომლებიც განსახილველად რეგიონულ ოფისებს/მთავრობას გადაეცემა. რეგიონული კოორდინატორები ზედამსედველობას გაუწევენ, რეგიონული/ადგილობრივი დაწესებულებებისა და სააგენტოების წარმომადგენლების საქმიანობას. ეს ადამიანები სხვადასხვა სფეროდან – მაგალითისთვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, განათლების, პოლიციის, და სხვა – იქნებიან წარმოდგენილნი. ამ მიზნისთვის რეგიონული/ადგილობრივი ოფისებს/მთავრობის ხელმძღვანელმა უნდა შექმნას დარგთაშორისი კომისია, რომელიც ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებში, მისთვის მრჩევლის ორგანოს ფუნქციას შესრულებს.


10.3. ეთონური ნახუობის ფონტები, საქმიანობების გაფინანსების შემთხვევები სისტემა

მკურნალობის მომსახურების არ არსებული ქსელის დაფუძნებისა და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად და ნარკოპოლიტიკის სხვა მონაცემებზე დაფუძნებული ზომების განსახორციელებლად, გამოვდივართ ეროვნული ნარკოპოლიტიკის ფონდის დაარსების წინადაღებით.

საჭიროა ტენდერის პროცედურების შემუშავება, რომლის საფუძველზეც პოტენციურ განმცხადებლებს შეეძლებათ თავიანთ განაცხადებზე დაფინანსების მოთხოვნა.

